საპასუხო სიტყვაში რ. ნიქსონმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს საჭიროდ მიაჩნია ახლო აღმოსავლეთის პრობლემების მშვიდობიანი გადაჭრის გზების გამოძებნა, და აღნიშნა, რომ „ამერიკის შეერთებული შტატებისათვის გასაგებია სირიის არაბთა რესპუბლიკის წუხილი პალესტინის საკითხის გამო“. პირველი ნაბიჯები, რომლებიც უკვე გადაიდგა ახლო აღმოსავლეთში მშვიდობის მისაღწევად, თქვა შემდეგ პრეზიდენტმა, — ეს მხოლოდ დასაწყისია. ახლა, განაცხადა მან, ამოცანა ის არის, რომ თანდათან ვიაროთ წინ მთავარი მიზნისაკენ — სამართლიანი და მტკიცე მშვიდობისაკენ.

დამასკო, 16 ივნისი. აქ გამოცხადდა, რომ სირიის არაბთა რესპუბლიკამ და შეერთებულმა შტატებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღადგინონ დიპლომატიური ურთიერთობა ორ ქვეყანას შორის, რომელიც 1967 წელს გაწყვიტეს.

ბ ე ნ ა ს ტ ლ ე ბ ე ულ ი ჰ ე ი ტ ე ბ ა ლ ი ა

თითქმის 50 წლის განმავლობაში იმყოფებოდა პორტუგალია ფაშისტური დიქტატურის უღელქვეშ. ელემენტარულ თავისუფლებათა სრული უქონლობა, პრესის უმკაცრესი ცენზურა, ევროპის კონტინენტზე მშრომელთა ცხოვრების ყველაზე დაბალი დონე, საიდუმლო ორგანიზაციათა სისხლიანი თარეში, კოლონიური ომი, — აი რა მოუტანა ქვეყანას სალაზარ-კეტანუს ფაშისტურმა რეჟიმმა.

1974 წლის 25 აპრილს შეიარაღებული ძალების პატრიოტული აჯანყების შედეგად, რომელსაც მხარს უჭერდნენ ხალხის ფართო მასები, ფაშისტური რეჟიმი დაეშხო. ახლა ხელისუფლებამ წამოაყენა თავისუფალი და დემოკრატიული საზოგადოების შექმნის პროგრამა.

დღეს ლისაბონი, პორტუ, ფარუ და სხვა ქალაქები პირველად ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე ცხოვრობენ თავისუფლების პირობებში.

ბუნებრივია, რომ ჯერ კიდევ არ დამდგარა სრული სიმშვიდის პერიოდი. მსხვილი მრეწველები და ლატიფუნდისტები, რომელთა ხელში ჯერჯერობით დარჩა ეკონომიური მმართველობის მნიშვნელოვანი ღვედები, აქა-იქ ცდილობენ წარმოების დეზორგანიზაციას.

პორტუგალიის პატრიოტული ძალები რეაქციის ამ ხრიკებს უპასუხებენ თავისი რიგების შემჭიდროებით, ხალხისა და შეიარაღებული ძალების ერთიანობის განმტკიცებით.

სურათებზე: (ზემოთ) სანბენტოს სასახლესთან, სადაც საქმიანობს პორტუგალიის დროებითი მთავრობა; (ქვემოთ) დღეთითდღე იზრდება მშრომელთა ინტერესი ცენზურისაგან თავისუფალი პრესისადმი.

საბდუნის ფოტო.

საკდესი და უცხოეთის პრესის სააგენტოები იტყობინებიან

ამბები • ფაქტები

ფოტოინფორმაცია



ბ ე ნ ა ს ტ ლ ე ბ ე ულ ი ჰ ე ი ტ ე ბ ა ლ ი ა

ს ე ს ი ა დ ა ი ხ ვ რ ა

მოგადიშო, 16 ივნისი. (საკდესი). **დღეს სომალის დედაქალაქში მუშაობა დაამთავრა აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეის XI სესიამ.** ამ სრულიად აფრიკის ფორუმის მონაწილეებმა განიხილეს კონტინენტის მწვავე პრობლემები, რომელთაგან მთავარია კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთებისაგან აფრიკის მთლიანად განთავისუფლებისათვის ბრძოლის წარმატებით დამთავრება.

მოგადიშო, 16 ივნისი. (საკდესი). კამერუნის წარმომადგენელი მბუმუა ეტეკი აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურების ასამბლეის XI სესიამ აირჩია აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის გენერალური მდივნის პოსტზე.

მბუმუა ეტეკი, 43 წლის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი, კამერუნის პრეზიდენტის სპეციალური მრჩეველია.

ა ფ რ ი კ ი ს ფ ო რ უ მ ი

„თავისუფალი აფრიკის უმაღლესი ფორუმი“ უფოდს საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელებმა აფრიკის ქვექნების ერთობის ორგანიზაციის ასამბლეას ფერილში, რომელიც აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის მე-11 სესიის სახელზე გაგზავნეს 13 ივნისს მოგადიშოში.

სესიაზე შეიკრიბნენ აფრიკის 42 დამოუკიდებელი ქვეყნის სახელმწიფოთა და მთავრობათა მეთაურები.

მის დღის წესრიგშია ყველაზე საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც აფრიკის კონტინენტს აღელვებენ. ეს არის, უწინარეს ყოვლისა, კონტინენტის საბოლოო დეკოლონიზაციისათვის ბრძოლა, რომელსაც განსაკუთრებული აქტუალობა ენიჭება პორტუგალიის უკანასკნელ ამბებთან დაკავშირებით. ლისაბონში ფაშისტური რეჟიმის დამხობა — მისი კრახი კი ბევრად იყო წინასწარ განსაზღვრული გვინეა-ბისაუს, ანგოლასა და მოზამბიკის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მებრძოლთა წარმატებებით — ახალ, ხელშემწყობ პირობებს ქმნის ამ ქვეყნების ხალხთა სუვერენული და დამოუკიდებელი განვითარების ხელშეუვალი უფლების დაუყოვნებლივ განხორციელებისათვის.

ეკონომიური პრობლემები მეორე დიდი წრეა საკითხებისა, რომლებიც ასამბლეამ განიხილა. ამ უკანასკნელ წლებში აფრიკის ქვეყნები თანამიმდევრულად განამტკიცებენ თავიანთ სუვერენიტეტს საკუთარი ბუნებრივი სიმდიდრეების მიმართ, რომლებსაც მრავალი ათეული წლის განმავლობაში მტაცებლურ ექსპლოატაციას უწევდნენ იმპერიალისტური სახელმწიფოები. ძლევენ რა იმპერიალიზმის წინააღმდეგობას, თავისუფალი აფრიკის ქვეყნები აღწევენ საერთაშორისო ეკონომიური ურთიერთობის გარდაქმნას სამართლიანობისა და თანასწორუფლებიანობის საფუძველზე. ამ გზაზე ტროპიკული აფრიკის სახელმწიფოები სულ უფრო აქტიურად ათანხმებენ თავიანთ მოქმედებას აფრიკის ქვეყნების ერთიანობის ორგანიზაციის წევრ არაბულ ქვეყნებთან. მაგალითად, ისრაელის აგრესიის წინააღმდეგ არაბთა ბრძოლის აფრიკელების მიერ მხარდაჭერისათვის მადლობის ნიშნად არაბულმა სახელმწიფოებმა ამ ცოტა ხნის წინათ დააარსეს სპეციალური ფონდი 200 მილიონი დოლარის ოდენობით, რათა დაეხმაროს აფრიკის დამოუკიდებელ ქვეყნებს ეკონომიური სიძნელეების გადალახვაში. გარდა ამისა, ქვეყნები, რომლებიც ნავთობს იღებენ, შეთანხმდნენ შექმნან აფრიკის განვითარების სპეციალური ბანკი. მოგადიშოში დიდი ყურადღება დაეთმო აფრიკის ქვეყნების ერთობის ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ერთობლივ ბრძოლას გვალვის წინააღმდეგ, რომელმაც უკანასკნელ წლებში ტრაგიკულად ჯატასტროფული ხასიათი მიიღო აფრიკის მთელ რიგ ქვეყნებში.

მოგადიშოს სესიაზე მკაცრად აკრიტიკებდნენ იმპერიალისტურ მონოპოლიებს, რომლებიც კვლავ ძარცვავენ აფრიკას, აგრეთვე ნატოს ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც სამხედრო დახმარებას უწევენ აფრიკის უბოროტეს მტრებს — რასისტებსა და სიონისტებს. ამავე დროს მოგადიშოში ერთხმად ალინიშნა სსრ კავშირისა და სხვა სოციალისტური ქვეყნების პრინციპული პოზიცია, რომლებიც თანმიმდევრულად იბრძვიან აფრიკის სრული განთავისუფლების საქმის გამარჯვებისათვის.

იტალიაში დაიწყო მთავრობის მორიგი კრიზისი. გადადგა კაბინეტი, რომელსაც ქრისტიანი დემოკრატი მ. რუმორი მეთაურობდა.

ამ ერთ ქვირაში

- **თავისუფალი აფრიკის ფორუმი**
- **მთავრობის კრიზისი იტალიაში**

საერთაშორისო მიმოხილვა

უმუალო ბიძგი მთავრობის გადადგომისათვის იყო უთანხმოებანი მთავრობის კოალიციის პარტიებს შორის ეკონომიური პოლიტიკის საკითხებში. ცდილობდნენ რა ასლანდელი ეკონომიური სიძნელეების წინააღმდეგ ბრძოლის მთელი სიმძიმე მშრომელებისა და მოსახლეობის ხაშუალო ფენებისათვის დაეკისრებინათ, ქრისტიანულ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელნი მოითხოვდნენ გადასახადების გადიდებას, სურსათის იმპორტის შემცირებას, ელექტროენერგიის, ბენზინისა და სხვა თხევადი სათბობის ფასების მომატებას. კოალიციაში შემავალი სოციალისტები კი დაბეჯითებით მოითხოვდნენ, რომ ამ ღონისძიებებთან ერთად გაეფართოებინათ კაპიტალდაბანდებანი სოფლის მეურნეობასა და სამხრეთ იტალიის ეკონომიურად ჩამორჩენილი რაიონების განვითარებაში, ამასთან ხაზს უსვამდნენ, რომ წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას მოელის მკვეთრი ეკონომიური დაქვეითება, ხოლო მშრომელებს — უმუშევრობის ზრდა და ცხოვრების დონის შემცირება.

მემარჯვენე ფრეიების იმ ცდების წინააღმდეგ, რომ ასლანდელი სიძნელეებიდან გამოსავალი ეპოვათ ხალხის მასების ხარჯზე, გადაჭრით და შეკავშირებულად გამოვიდა ქვეყნის სამივე უდიდესი პროფკავშირული გაერთიანება, რომლებსაც მხარი დაუჭირა კომპარტიამ.

თავისთავად იტალიის კაბინეტის გადადგომა, რომელსაც სამი თვეც კი არ უარსებია, არა გვგონია სენსაციად ჩაითვალოს. უკანასკნელ ხუთწლეულში შეიქმნა თავისებური გრაფიკი: მთავრობები ამ ქვეყანაში რეგულარულად იცვლებიან წელიწადში ორჯერ. მაგრამ ამჯერად, მთელი რიგი გარემოებანი განსაკუთრებით სერიოზულ ხასიათს ანიჭებენ მთავრობის კრიზისს.

უწინარეს ყოვლისა, იგი დაიწყო დასავლეთ ევროპასა და მთელ კაპიტალისტურ სამყაროში მთავრობათა არასტაბილურობის შესამჩნევად გაძლიერების ფონზე.

დასავლეთ ევროპაში ახლა ძნელად თუ ვნახავთ ქვეყანას, სადაც უკანასკნელ თვეებში არ შეცვლილიყოს პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რაც, ეჭვი არ არის, გამოხატავს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ასლანდელი ეტაპისათვის დამახასიათებელ მერყეობას.

რაც შეეხება თვით იტალიას, როგორც გაზეთმა „უნიტამ“ აღნიშნა, მ. რუმორის კაბინეტის გადადგომა დაემთხვა უაღრესად ძნელ მომენტს ქვეყნის ცხოვრებაში და დაადასტურა ღრმა პოლიტიკური კრიზისის არსებობა. იტალია ამჟამად განიცდის ჭეშმარიტად მშფოთვარე პერიოდს ნეოფაშისტებისა და მთელი უკიდურესი მემარჯვენე რეაქციის მკვეთრ აქტივიზაციასთან დაკავშირებით. ამასწინანდელმა პროვოკაციამ ბრეშიაში, სადაც შაბალათაანები არ მოერიდნენ მასობრივი ხოცვა-ჟლეტის მოწყობას, ცხადყო, რომ ელკერული გამოხდომებიდან მემარჯვენე ძალები ახლა ფაქტიურად გადავიდნენ პირდაპირ შეტევაზე რესპუბლიკის წინააღმდეგ.

იტალიის კომპარტიის ხელმძღვანელობამ კაბინეტის გადადგომასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ განცხადებაში მოითხოვა ამომძრავნენ მემარჯვენე ძალების შეთქმულებათა ფესვები. განცხადებაში ხაზგასმულია, რომ მთავრობის კრიზისების განმეორება ადასტურებს იმას, რომ საჭიროა კომუნისტებისა და ხალხის მთელი ძალების შეკავშირება, რომ საჭიროა ხელისუფლებას სათავეში ჩაუდგეს ქვეყნის ისეთი პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც მშრომელი მასების ნდობით ისარგებლებს (საკდესი).

ბოლო მოეღოს ტერორისტულ აქციებს

ნიკოზია, 15 ივნისი. (საკდესი). „ეოკა-ბ“ ტერორისტული არალეგალური ორგანიზაციის მიერ მოწყობილმა აფეთქებათა სერიამ ფამაგუსტაში კვიპროსის ხალხის გულისწყრომა გამოიწვია.

კვიპროსის რესპუბლიკის წარმომადგენელთა პალატის თავმჯდომარემ გ. კლირიდისმა მკაცრად დაგმო ეს აფეთქებები, „როგორც სახელმწიფოს დემოკრატიული საფუძვლების წინააღმდეგ მიმართული ძალადობის აქტები“. მან მოუწოდა მთავრობას გადამწყვეტ ღონისძიებებს მიმართოს ქვეყანაში კანონიერებისა და წესრიგის აღსადგენად.

ანალოგიური მოთხოვნები გაისმა კვიპროსის მთელ რიგ პროფკავშირულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციათა განცხადებებში.

გაზეთი „ბარავგი“, აშუქებს რა იატაკქვეშეთის აქციებს, წერს: ეს აქციები ასახავენ კვიპროსის რეაქციის მიზნებს, რომელიც დიდი ხანია ოცნებობს საბერძნეთი და თურქეთი ჩარიოს კვიპროსის საქმეებში, გაყოს კუნძული და წაართვას მას ეროვნული დამოუკიდებლობა. გაზეთი მოუწოდებს კვიპროსის მთავრობას ბოლო მოუღოს ტერორისტულ იატაკქვეშეთს.

ოკეანასკნელ საკითხ

საუოველთაო გაფიცვა პაკისტანში

● ისლამაბადი, (საკდესი). საუოველთაო გაფიცვამ, რომელიც გამოაცხადეს პაკისტანის ორთოდოქსალურმა მაჰმადიანურმა ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პოლიტიკურმა პარტიებმა აამჟღალეს მაჰმადიანური სექტის წინააღმდეგ, მთლიანად მშვიდობიანად ჩაიარა, თუმცა ქვეყნის ზოგიერთ რაიონში მოხდა დემონსტრაციათა და პროცესიათა მონაწილეების შეტაკება პოლიციასთან და ჯარებთან. მთავრობის განკარგულებით განხორციელდა სიფრთხილის ღონისძიებანი, რათა თავიდან აეცილებინათ ხერიოზული არეულობანი. ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებსა და დასახლებულ პუნქტებში შეიყვანეს არმიის ქვეგანაყოფები.

კრიზისი იტალიაში

● რომი, 16 ივნისი. (საკდესი). იტალიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე მ. რუმორი, რომლის მთავრობის გადადგომა გუშინ უარყო ქვეყნის პრეზიდენტმა ჯ. ლეონემ, აქ შეხვდა ქრისტი

და გულს ავანთებ...

შორს გამიტაცებს
ფიქრთა თარეში
და გულს ავანთებ
უფრო სხვაგვარად...
დიდი ცხოვრება
მიმზერს თვალებში,
დიდი გამოცდის
ჭერი დამდგარა.

არც ჩამუხლება,
არც შეხვენება,
არც შეწყალება
წამით თავისა
და ღამეების
თეთრად თენებამ
გადამავიწყა
ფერი ღამისა.

ბევრი უმღერდა
აისს თუ დაისს,
ბევრი სტრიქონის
რანდვას გადაჰყვა
და ისე ვეღარ
ამაღლდა მაინც —
გადაეხედა
ამ მთებს გადაღმა.

უსაზღვრო ველი
თუ მთა ტყიანი,
სულ ჩაუქრობელ
შუქად შერთვია...
დღეს უნდა გითხრა
ლექსი ფრთიანი,
თორემ ამ მკერდში
ვერ დაეტია.

ჩემი სიცოცხლე
შენით დაირწა
და კარგად ვიცი,
რაა მთავარი...
მე ვარსკვლავთში
უნდა გავიჭრა,
სულ უნდა შევძრა
ზეცის თავანი.

შორს გამიტაცებს
ფიქრთა თარეში
და გულს ავანთებ
უფრო სხვაგვარად...
დიდი ცხოვრება
მიმზერს თვალებში,
დიდი გამოცდის
ჭერი დამდგარა.

ამირან ახობაძე.

თბილისი. 1974 წლის 16 ივნისი. ახალგაზრდული ანსამბლი „მერცხალი“ გამოდის ლენინის რაიონის № 65/65 საარჩევნო უბნის ამომრჩეველთა წინაშე.

ვლ. გინზბურგის ფოტო.

საოცარი კვალი

ოკეანის ფსკერის საიდუმლოებანი

ამ სტატიის ავტორი ნ. ზენკევიჩი სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოგრაფიის ინსტიტუტის წყალქვეშა ფოტოგრაფირების კაბინეტს განაგებს. ოც წელზე მეტია იგი წყალქვეშა ფოტოგრაფირებას ეწევა. რამდენიმე წლის წინათ გამოქვეყნდა ოკეანის ფსკერის ფოტოგრაფიების მისი ატლასი.

□ □

სულ ასიოდე წლის წინათ ადამიანებს ოკეანის ფსკერი წარმოდგენილი ჰქონდათ როგორც მონოტონური, ერთფეროვანი ვაკე, დაფარული საფლობი, ბლანტი ლამით. ჩვენი წარმოდგენა ახლა მთლიანად შეიცვალა. წყალქვეშა ფოტოგრაფიამ გადაგვიშალა ახალი, არაჩვეულებრივი და დღემდე უცნობი სამყარო ოკეანეთა დიდი სიღრმეებისა.

აღმოჩნდა, რომ ფსკერზე რელიეფი არანაკლებ მრავალფეროვანია, ვიდრე ხმელეთზე. იქ არის უმაღლესი მთაგრეხილები და ბნელი უფსკრულები, კოლოსალური ვაკე ადგილები და გრანდიოზული კანიონები. ოკეანის ფსკერთან წყალ-გრუნტის ზონაში მიმდინარეობს სხვადასხვა ბიოლოგიური, ფიზიკური, ქიმიური და გეოლოგიური პროცესები.

წყალქვეშა ფოტოგრაფიის მეოხებით შესაძლებელი გახდა აგრეთვე ფსკერის ცხოველებზე დაკვირვება მათთვის ბუნებრივ ვითარებაში, მათი გავრცელებისა და გარშემო გარემოსთან ურთიერთობის შესწავლა. განსაკუთრებით ხშირი და სხვადასხვაგვარი ფაუნა, რომელიც ძირითადად ფსკერის ზედაპირზე ცხოვრობს, შეიძლება დანახულ იქნას შელფებზე და კონტინენტურ ფერდობებზე. ნაირგიდან აქ მრავალად მოდის ორგანული საკვები ნივთიერებანი, რაც ხელს უწყობს სიცოცხლის განვითარებას.

ოკეანის იმ რაიონებში, რომლებიც უფრო მეტად დამორბულია ნაპირებს, ზღვის ყველაზე დიდ სიღრმეთა რაიონებში. ფსკერის ზედაპირზე ცხოველები ჩვეულებრივ არა ჩანან. სამაგიეროდ აქ ხშირად არის სულ სხვადასხვა კვალი ფსკერის ორგანიზმებისა, ძირითადად ლამმჭამელებისა, რომლებიც ნალექის სიზრქეში ცხოვრობენ. შეღფისა და კონტინენტური ფერდობისაგან განსხვავებით, რომელზეც მათი ფხვიერობის გამო ფაუნის კვალი ვერ რჩება, ოკეანის ლამებს მათი სიბლანტის მეოხებით შეუძლიათ „ჩაწერონ“ ფსკერის ცხოველთა სიცოცხლის ყველა ეტაპი და ეს ჩანაწერები დიდი ხნით შემოინახონ.

ზოგიერთ შემთხვევაში, ოკეანის ქვაბულების ფსკერზე, სადაც, როგორც ჩანს, ადგილი აქვს ფსკერისპირა დინებათა გადიდებულ სიჩქარეებს, ხშირად შეიძლება დაინახოთ ძირეული ჯიშების გამოსავლები და ნამსხვრევების ყრილები. ხშირად აქ ფოტოკამერის შემლვლებულ კლდეებიც, სპეციფიკური ფაუნაც. მაგრამ ალბათ ეს არის ყველაზე ეფექტური და დამაჯერებელი მაჩვენებელი ძლიერი ფსკერისპირა დინებებისა — ეგრეთწოდებული ნიშნები ჭავლისა, იმათი მსგავსი, რომლებიც ხშირად შეიძლება დავინახოთ სანაპირო ქვიშაზე. ჭავლის ნიშნების შექმნისათვის საჭიროა წყლის მოძრაობის საკმაოდ დიდი სიჩქარენი: არანაკლებ 20 სანტიმეტრისა წამში.

ოკეანის ცენტრალურ რაიონებში ნალექთვანი მასალა ცოტა შედის, და ოკეანის კალაპოტის ტექტონიკური და ვულკანური რელიეფი აქ შეიძლება თავისი პირველყოფილი სახით დაცულ იქნას მრავალი ათეული ათასი წლის განმავლობაში. ნალექების დაგროვების მცირე სიჩქარე ქმნის ამ რაიონებში ხელსაყრელ პირობებს მარგანეცის კონკრეციების შესაქმნელად. შავ-მუქა ფერის „რიყის ქვებს“ ან „კარტოფილის ბოლქვებს“ სახვის თავის მსგავსად კონცენტრული ავებულება აქვთ. მათი სიდიდე მილიმეტრიდან თხუთმეტ სანტიმეტრამდე მერყეობს. კონკრეციები წარმოიქმნება ფსკერის ზედაპირზე, უმთავრესად ღრმა წყლის ფითელ თიხებზე, პატარა-პატარა ბირთვაკების — ბაზალტის, ტუფის, ზეიგენის კბილების და სხვ. ნამსხვრევების გარშემო.

მარგანეცის კონკრეციები ოკეანის თავისებური მაღანია მარგანეცის, სპილენძის, ნიკელის, კობალტის და სხვა ძვირფასი და იშვიათი ელემენტების მაღალი შემცველობით. წყალქვეშა ფოტოგრაფიის დახმარებით გამორკვეულ იქნა, რომ კონკრეციებს ოკეანის ფსკერის კოლოსალური სივრცეები უჭირავთ. ოკეანის ამ მადნის რაოდენობას ასეულ მილიარდობითი ტონას ანგარიშობენ, ზოგიერთი მეცნიერი კი ისეთ ციფრსაც ასახელებს, როგორიც არის ტრილიონი ტონა.

მარგანეცის კონკრეციები ოკეანის ერთ-ერთი გამოცანაა. მათი დაახლოებითი გამოანგარიშება გაკეთებულია, მაგრამ როგორ წარმოიქმნებიან ისინი, საიდან წარმოსდგებიან, ამაზე მეცნიერები დღემდე დავობენ.

ოკეანის იმ რაიონებში, რომლებიც ყველაზე დაშორებულია ნაპირებს, გვხვდება ფსკერის ვრცელი უბნები, რომლებიც საერთოდ მოკლებულია დანალექ საფარველს. აქ ფსკერი წარმოადგენს თითქმის მთლიანად გამიშვლებულ სფერულ ლავებსა და ვულკანურ ტუფებს, რომლებიც დაფარულია მარგანეცის სქელი ხორკლიანი ქერქით. ძნელი წარმოსადგენია, რომ ქვის ამ უდაბნოში სიცოცხლის არსებობა შეიძლებოდეს.

მაგრამ. შეიძლება ითქვას, ოკეანის ფსკერის ყველაზე საკვირველი მოვლენა, რომლის დანახვაც ფოტოკამერის საშუალებით მოხერხდა, — ეს არის უცნაური კვალი, რომელიც დაუტოვებიათ ღრმა წყლის ლამების ზედაპირზე რაღაც გამოუცნობ არსებებს. ეს არის ფართო მიხვეულ-მოხვეული ლენტებიც, რომლებიც ავტომობილის სალტის პროტექტორის ანაბეჭდს მოგვაგონებს, ამობურცულ დაბილულ კიდეებიანი კვალიც, უზარმაზარი ბორცვებიც, რომლებიც აშკარად წარმოშობილია ცოცხალი ორგანიზმების ცხოველმოქმედის შედეგად.

გვაოცებს უწინარეს ყოვლისა ასეთი კვალის სიდიდე — იგი ბევრად აღემატება იმ ცხოველთა სიდიდეს, რომლებიც ჩვეულებრივად ამოაქვთ ხოლმე ოკეანის ფსკერიდან ტრალებით და ფსკერმხაპავებით. გარდა ამისა, სრულიად გაუგებარია, როგორ, რა ორგანოების დახმარებით დატოვეს ამ ცხონმა არსებებმა ასეთი კვალი. ამის თაობაზე დაგვრჩენია ახლოდან ვარაუდებს ვაკეთებდეთ. ზოგიერთ შემთხვევაში კვალი მოულოდნელად წყდება, ან სადეს იცვლის.

ამავე დროს გამორიცხული არ არის, რომ მეტი წილი ეს უცნაური კვალი დატოვებულია ისეთი ორგანიზმებით, რომლებსაც მეცნიერება უკვე კარგად იცნობს, უბრალოდ — ჩვენ ჯერ კიდევ ძალიან ცოტა რამ ვიცით ღრმა წყლის ცხოველთა ცხოვრებაზე, იმაზე, თუ როგორ იქცევიან ისინი ბუნებრივ ვითარებაში ფსკერზე, როგორ კვალს ტოვებენ მის ზედაპირზე. მაგრამ სავსებით გარკვეულად შეიძლება ითქვას, რომ ოკეანის ფსკერზე სიცოცხლის კვალის შესწავლა, მისი წარმოშობის გამოცნობა, კვალის „გაიგივება“ მის შემქმნელ ორგანიზმიანებთან წყალქვეშა ფოტოგრაფიით დაყენებული ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ამოცანაა.

ნ. ზენკევიჩი.
(ახალი ამბების სააგენტო).



ბ. მაისურაძის ნახატი.

V МЕЖДУНАРОДНЫЙ КОНКУРС ИМ. ПИ ЧИКОВСКОГО

დიდი ოლოდინის ჟამი

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის მეხუთე საერთაშორისო კონკურსში ცნობილი გახდა იმ ვიოლონჩელისტთა სახელები, რომლებმაც წარმატებით გაბედეს პირველი ტურის გამოცდები. ესენი ახლანდელ ჩვენ ქვეყნის ექვსი წარმომადგენელი — ა. გოტგელფი, ა. დიომინი, ზ. ზალიკაილო, ი. მონიგეტი, ბ. პერგამენშჩიკოვი, ი. ფეიგელსონი, აგრეთვე ბ. ციბერალი (ჩეხოსლოვაკია), ც. ბარჩიკი (პოლონეთი), დ. ბროსკეტენი (შვეიცარია), ტ. ბეზი (გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა), ჰ. კანო (იაპონია), ს. დოუნი, დ. ტრეგერი, შ. რობინსონი, ა. შეარეი (ამერიკის შეერთებული შტატები), რ. პოუტანენი, რ. სარიოლა (ფინეთი), ძ. ნაგი (ეგვიპტის არაბთა რესპუბლიკა), ს. ბალტაიანი (ბულგარეთი), ი. შიფოლო (საფრანგეთი), ფ. იოოსტი (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა), ა. გუდეი (ლუქსემბურგი).

— ჯერ ადრეა შედეგების შეჯამება, — ამბობს ჟიურის თავმჯდომარე რუსეთის სფსრ სახალხო არტისტი დანიელ შაფრანი, — მაგრამ ახლავე შეგიძლია ვთქვათ, რომ მონაწილენი სრულიზულად დიდი პასუხისმგებლობით მოემზადნენ ისეთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრებისათვის, როგორიც არის პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი. იგი ყოველთვის იპყრობს მრავალი ქვეყნის ახალგაზრდა მუსიკოსთა ყურადღებას ჭეშმარიტად შემოქმედებითი ატმოსფეროთი, რთული, მრავალფეროვანი და საინტერესო პროგრამით. კონკურსს ყოველ მონაწილეს შეუძლია ამოირჩიოს როგორც კლასიკოსი კომპოზიტორების, ისე საბჭოთა ავტორების ნაწარმოებები. მეორე ტურში ვიოლონჩელისტები შეასრულებენ ერთ-ერთ სავალდებულო ნაწარმოებს. — დ. კაბალევსკის „რონდოს“ ან ვ. ვლასოვის „კონცერტშტუკს“. მიუხედავად ამისა, რომ ეს ნაწარმოებები სულ ათ წუთს გრძელდება, მუსიკოსებს შეუძლიათ გამოავლინონ თავიანთი ტექნიკა, საშემსრულებლო ოსტატობა და შემოქმედებითი ფანტაზია.

პიანისტთა შეჯიბრებაზე კი ჯერ პირველი ტურის მოსმენა გრძელდება. მაბათს კონსერვატორიის დიდ დარბაზში გამოდიოდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ავსტრალიის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, რუმინეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, ჩეხოსლოვაკიისა და საბჭოთა კავშირის ახალგაზრდა მუსიკოსები

შემოქმედებითს შეჯიბრებაში ებმებიან მეკიოლინეები. გამარჯვთა ახალგაზრდა მუსიკოსთა პირველი შეხვედრა საერთაშორისო ციურისთან, რომელსაც ლენინური პრემიის ლაურეატი დავით ოისტრახი ხელმძღვანელობს.

პ. ი. ჩაიკოვსკის სახელობის კონკურსი გრძელდება.

მოსკოვი.

(საკდესის კორ.).

საქართველოს ამა-ხანში

დეკეშა ატლანტის ოკეანედან

„ფოთი“ რეისში

ბათუმი. (საკ. კორ.). საქართველოს საზღვაო სანაოსნომ ატლანტის ოკეანიდან დეკეშა მიიღო. ტანკერ „ფოთის“ კაპიტნის პირველი თანაშემწე ა. გახარია ხომალდის კოლექტივის შრომითს წარმატებას იტყობინება.

„ფოთი“ წინა რეისში ისლანდიაში იყო და დავალება პირნათლად შეასრულა. 108,3 პროცენტი — ასეთი იყო ტანკერის სარეისო მაჩვენებელი. შემდეგ ხომალდმა კურსი ატლანტის ოკეანისაკენ აიღო, ჩვენი ქვეყნის თევზსაჭერი გემებისათვის საწვავი წაიღო.

— ეს რეისი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს არჩევნებს მიეძღვნა, — იტყობინება ა. გახარია, — ამიტომ მთელი ეკიპაჟი ცდილობდა ახალი შრომითი გამარჯვებებით აღენიშნა იგი. ტროპიკულ ზონაში ნაოსნობის სიძნელეების მიუხედავად შრომითს ვასტაზე წარმატებით დგანან მეზღვაურები თურქია, ჩეჩელაშვილი, ბერძენიშვილი, ჟორჟოლიანი, ზოიძე და სხვები.

არჩევნების დღეს „ფოთის“ ეკიპაჟის წევრები სამშობლოდან შორს — ატლანტის ოკეანეში მოიხდიან თავიანთ მოქალაქეობრივ ვალს.

მეცნიერები — თუშეთის სტუმრები

ახმეტის რაიონის სოფელ ქვემო ალვანის კულტურის სახლში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს ს. ჯახაშიას სახელობის საქართველოს სახელმწიფო მუზეუმმა მოაწყო გამსვლელი სამეცნიერო სესია, მიძღვნილი თუშეთის არქეოლოგიური და ეთნოგრაფიული კვლევა-ძიების შედეგებისადმი.

სესიაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა პარტიის რაიონული კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. ბატაშვილმა. ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა გ. ჯალაბაძემ დამსწრე საზოგადოებას მოუთხრო თუშეთის დასახლების ლეგენდაზე; თუშური დიალექტის შესწავლის მდგომარეობა — ასეთი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის ნ. უთურგაიძის მოხსენების შინაარსი; თუშეთის სოფელ შენაქოში მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალაზე ილაპარაკა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა რ. დოლაბერიძემ; თუშეთში ხის დამუშავების ხალხური წესების შესწავლაზე სესიას მოახსენა ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატმა გ. გასიტაშვილმა; ხალხური დღეობები თუშეთში — ასეთი იყო ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის ძ. ხუციშვილის მოხსენების შინაარსი. მოხსენებასთან ერთად ნაჩვენები იქნა მუზეუმის ათეისტური კაბინეტის მიერ გადაღებული კინოსურათები — „ლაშარობა“, „ბიჭობა“, „დალაობა“, „ზეზვაობა“ და სხვ.

ყვარლის ილია ჭავჭავაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა ი. ბერიშვილმა ილაპარაკა თუშეთის სუნჯის მოვლა-პატრონობაზე და წაიკითხა თუში მეცხვარეებისადმი მიძღვნილი საკუთარი ლექსი. ქვემო ალვანის საშუალო სკოლის დირექტორმა ალ. ბახტურიძემ დამსწრე საზოგადოებას ახალგაზრდობის სამეურნეო საქმიანობაზე. დამსწრე საზოგადოების ყურადღება მიიპყრო ახლადაშენებულ კულტურის სახლში გამოფენილმა თუშეთისათვის დამახასიათებელმა ეთნოგრაფიულმა მასალამ, რომელიც საქმის დიდი სიყვარულით შეუგროვებია ქვემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მოწინავე მუშაკს გ. სისაურს. დარბაზში გამოფენილია ისეთი იშვიათი ექსპონატი, როგორიც არის ფრთიანი გუთანი, რომელიც მეცნიერების მიერ დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე არ იყო ფიქსირებული.

დ. ცინცაძე.

პირველი ტურის ზეიმდეგი

15 ივნისს პოლონეთისა და არგენტინის, იტალიისა და საიტის, პოლანდიისა და ურუგვაის, ბულგარეთისა და შვეიცის ნაკრები გუნდების მატჩებით დამთავრდა ფეხბურთში მსოფლიოს ჩემპიონატის პირველი ტური: ყველა გუნდმა გამართა თითო შეხვედრა.

ოლიმპიურმა ჩემპიონებმა — **პოლონელმა** სპორტსმენებმა, რომლებიც გამოდიოდნენ შტუტგარტში **არგენტინის** ძლიერი გუნდის წინააღმდეგ, უკვე პირველსავე წუთებზე გახსნეს ახგარიში — ლიატომ და შარმაჰმა თითო ბურთი გაიტანეს. მეორე ტაიმში სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელებმა შეძლეს ერთი გოლის გაქვითვა (ერედია). მაგრამ იმწამსვე ლიატომ კვლავ გაზარდა სხვაობა. მატჩის ბოლო აღსავსე იყო მწვავე მომენტებით როგორც ერთ ისე მეორე კართან, და ერთ-ერთი შეტევის დროს არგენტინელმა ბაბინგტონმა შეძლო ბურთის გადაგზავნა. გიმარჯვეს პოლონელებმა — 3:2.

— ჩვენ გავიმარჯვეთ იმის წყალობით, რომ შევძელით თამაშის გეგმის განხორციელება, — თქვა მატჩის შემდეგ პოლონეთის ნაკრების მწვრთნელმა კ. გურსკიმ. ჩვენ გამოვიყენეთ ყველა მომენტი შეტევისათვის.

— არ მოველოდი თამაშის ასეთ შედეგს, — თქვა გურსკის კოლეგამ — არგენტინელმა ვ. კაპმა. — პოლონეთის გუნდი დიდებულად თამაშობდა.

სენსაციურად დაიწყო შეხვედრა მიუხეხენში მსოფლიოს ვიცეჩემპიონებს **იტალიელებსა** და მსოფლიოს პირველობის დებიუტანტებს **საიტელებს** შორის. პირველი ტაიმი უშედეგოდ დამთავრდა — 0:0, ხოლო მეორე ნახევრის პირველ წუთზე ევროპის საუკეთესო მეკარე ძოფის კარში, რომელსაც თორმეტ უკანასკნელ საერთაშორისო შეხვედრაში არ გაუშვია არც ერთი ბურთი, პირველი გოლი გაიტანეს (სანონი). დიდი ჯაფა დადგა იტალიელებს, რომ ჯერ გაეთანაბრებინათ ანგარიში (რივერა), ხოლო შემდეგ კიდევ ორი ბურთი გაეტანათ (ბეუტი და ანასტასი).

მატჩი პანოვერში **პოლანდიისა** და **ურუგვაის** ნაკრებთა შორის დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით — 2:0.

ბულგარეთის ნაკრებმა ფრედ — 0:0 თამაშში **შვეიცის** გუნდთან.

პირველი ტურის შემდეგ გამოავლინდნენ ლიდერები ყველა ქვეჯგუფში. პირველში ესხენია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებები, რომლებმაც ორ-ორი ქულა მოაგროვეს, მეორეში — შოტლანდიელები, მესამეში — ჰოლანდიელი ფეხბურთელები, მეოთხეში — პოლონელები და იტალიელები.

მომომხილველები აღნიშნავენ ევროპელი ფეხბურთელების უპირატესობას სამხრეთ ამერიკელებთან შედარებით: მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს წაერთმიათ ერთი ქულა იუგოსლავიის ნაკრებისთვის, სამხრეთ ამერიკის დანარჩენმა გუნდებმა დამარცხება განიცადეს. ოკეანისგადაღმელი სტუმრები ცდილობენ ოსტატობის უკმარობა უხეშ თამაშით ანაზღაურონ. ჩემპიონატის პირველ ტურში აღრიცხულია ორი გაძევება (ჩილელი და ურუგვაელი) და თხუთმეტი გაფრთხილება (მათი უმეტესობა სამხრეთ ამერიკელთა წილად მოდის).

გამოვლინდა ლიდერები ბომბარდიერებს შორის: პოლონელმა ლიატომ და ჰოლანდიელმა რეპმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს.

(საკდესის კორ.).

□

ხვალ, 18 ივნისს...

ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართება **18 ივნისს: ჩილე-გდრ, გფრ-ავსტრალია, იუგოსლავია-ზაირი** და **ბრაზილია-შოტლანდია.** ამ უკანასკნელ მატჩს ტელემაყურებლები ნახავენ 22 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.

□

გუშინ „ლოკომოტივის“ სტადიონზე

რუბბი. გუშინ დღისით თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე გაიმართა საკავშირო პირველობის მატჩი რუგბიში. თბილისის „განთიადი“ ასპარეზზოდა ჩვენი ქვეყნის ჩემპიონთან — მოსკოვის „ფილისთან“. ანგარიშით 12:6 გაიმარჯვეს სტუმრებმა.

ფეხბურთი. საღამოს თბილისის „ლოკომოტივის“ სტადიონზე ამხანაგური მატჩში ერთმანეთს შეხვდნენ თბილისისა და კიევის ვეტერანი ფეხბურთელები.

მასპინძელთა გუნდში სხვებთან ერთად გამოდიოდნენ მეტრეველი, კალოევი, ბარქაია, ს. კოტრიკაძე, დათუნაშვილი, ბ. სიჭინავა... ხოლო კიეველთა შემადგენლობაში — ბიბა, შნეგოლკოვი, ხმელნიცკი, ოსტროვსკი, ტროიანოვსკი, მედვიდი.

თამაშის 30-ე წუთზე ანგარიში გახსნა დათუნაშვილმა, ბოლოოდ 76-ე წუთზე აღადგინა წონასწორობა ხმელნიცკიმ. ფრე — 1:1.

საკავშირო შესარჩევი ჭადრაკი

რუბრიკ ცნობილია, დღეისათვის საკავშირო უმაღლეს ლიგაში თამაშის უფლება აქვთ შემდეგ მოჭადრაკეებს: გროსმაისტერებს კარპოვს, კორჩნოის, სპასკის, პეტროსიანს, ტალს, პოლუგაევსკის, კუზმინს, ველერს, ფურმანს, ვასიუკოვს, ვაპნიანს, საერთაშორისო ოსტატ ჯინჯიხაშვილსა და ოსტატ კ. გრიგორიანს. მათ დაემატება 4 მოჭადრაკე, რომელნიც გაიმარჯვებენ პირველ ლიგაში, და საკავშირო შესარჩევი ტურნირის პირველი პრიზენია.

აი სწორედ ეს საკავშირო შესარჩევი ტურნირი დაიწყო დაუბავშილრიში (რიგერა), ხოლო შემდეგ კიდევ ორი ბურთი გაეტანათ (ბეუტი და ანასტასი).

მატჩი პანოვერში **პოლანდიისა** და **ურუგვაის** ნაკრებთა შორის დამთავრდა ჰოლანდიელთა გამარჯვებით — 2:0.

ბულგარეთის ნაკრებმა ფრედ — 0:0 თამაშში **შვეიცის** გუნდთან.

პირველი ტურის შემდეგ გამოავლინდნენ ლიდერები ყველა ქვეჯგუფში. პირველში ესხენია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრებები, რომლებმაც ორ-ორი ქულა მოაგროვეს, მეორეში — შოტლანდიელები, მესამეში — ჰოლანდიელი ფეხბურთელები, მეოთხეში — პოლონელები და იტალიელები.

მომომხილველები აღნიშნავენ ევროპელი ფეხბურთელების უპირატესობას სამხრეთ ამერიკელებთან შედარებით: მხოლოდ ბრაზილიელებმა შეძლეს წაერთმიათ ერთი ქულა იუგოსლავიის ნაკრებისთვის, სამხრეთ ამერიკის დანარჩენმა გუნდებმა დამარცხება განიცადეს. ოკეანისგადაღმელი სტუმრები ცდილობენ ოსტატობის უკმარობა უხეშ თამაშით ანაზღაურონ. ჩემპიონატის პირველ ტურში აღრიცხულია ორი გაძევება (ჩილელი და ურუგვაელი) და თხუთმეტი გაფრთხილება (მათი უმეტესობა სამხრეთ ამერიკელთა წილად მოდის).

გამოვლინდა ლიდერები ბომბარდიერებს შორის: პოლონელმა ლიატომ და ჰოლანდიელმა რეპმა ორ-ორი ბურთი გაიტანეს.

(საკდესის კორ.).

□

ხვალ, 18 ივნისს...

ჩემპიონატის მორიგი მატჩები გაიმართება **18 ივნისს: ჩილე-გდრ, გფრ-ავსტრალია, იუგოსლავია-ზაირი** და **ბრაზილია-შოტლანდია.** ამ უკანასკნელ მატჩს ტელემაყურებლები ნახავენ 22 საათსა და 30 წუთიდან თბილისის დროით.

□ □

ავტომობილისტთა ჩემპიონატი

ბაკურიანი. ბაკურიანის ავტომობილისტთა ბაზაზე ბოლო ორი დღის განმავლობაში ტარდებოდა ავტომობილისტთა ჩემპიონატი. ამ ჯერ ეს ჩემპიონატი ეძღვნებოდა ბაკურიანის ბაზის 10 წლისთავს. ეს ბაზა ბაკურიანში ბოლო ორი ზაფხულია ფუნქციონირებს. ბაზა ეკუთვნის ბაკურიანის ტურისტულ ბაზას